3/7
1931წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# შრაპნელი

მე-2-რე
არტლეგიონის
პარტკოლექტივის
ბიუროს
ორგანო

ხუთშაბათი, 27 აგვისტო № 1. 1931 წ.



წითელარმიელები ეუფლებიან ქვემეხით სროლის ტეხნიკას

# ფრუნზელებო, სმენააა!

## ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი შეკრება მოხდა ძალზე სერიოზულ მომენტში, 5 წლედის მესამე გადამწყვეტ წელში, ახ. ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ სტადიაში და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის დამთავრების პერიოდში.

ყველა ჯურის კლასობრივი მტრების განადგურებით, ორ ფრონტზე გაშუდმებულ ბრძოლით, გენერალური ხაზის ურყევად გატარების ნიშნის ქვეშ ლენინიურმა კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე უდიდეს გამარჯვებებს.

ქვეყანა აგრარული და ისიც — ჩამორჩენილი, იქცევა ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყანად. ისეთი სწრაფი ტემპებით ვითარდება სოციალისტური ინდუსტრია, სოციალიზმის ეს აუცილებელი საძირკველი და სოფლის დაქუცმაცებული მეურნეობის კოლექტივიზაცია ალიუს კულტურული რევოლიუცია, რომ ილიჩის სიტყვებს, როგორც ამას პარტიის ბელადი სტალინი ამბობს შევასრულებთ სულ 10 წელში, ე.ი. ამ ვადაში დავეწევით და გადავუსწრებთ ტეხნიკურად და ეკონომიურად კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩვენი განვითარების ტემპები იმდენათ უჩვეულოა ისტორიისათვის, რომ იმ ვეებერთელა მანძილს, რომელზედაც კაპიტალიზმმა 100 წლობით იარა, ჩვენ გადავივლით უმოკლეს დროში. ყველაფერი ეს გამოწვეულია მით, რომ მშრომელი მასები ნდობით და სიყვარულით ეკიდებიან საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი ისეთივე ენტუზიაზმით მიჰყვებიან მას მშენებლობის ფრონტზე, როგორითაც მიჰყვებოდნენ თოფით ხელში რევოლიუციის ბარიკადებზე. ამის დამამტკიცებელია, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

ვეებერთელა მშენებლობა ვეებერთელა გიგანტებით, ტეხნიკურად აიარაღებს პროლეტარიატის დიქტატურას, ზრდის ქვეყნის სამხედრო თავდაცვითი უნარიანობას და მაშასადამე ამტკიცებს ოქტომბრის პირმშო, მტრების თავზარ დამცემს და ჩვენს საყვარელს წითელარმიას, ყოველ მხრივ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევები, ის, რომ საბოლოოდ ვსპობთ ჩვენში კაპიტალიზმის ძირებს, კაპიტალიზმის უღელ ქვეშ მგმინავ მსოფლიო პროლეტარიატში ანთებს რევოლიუციონურ ცეცხლს, იწვევს საშინელ მხეცურ გაბოროტებას მსოფლიო იმპერიალიზმისას და ჩვენი შინაური კლასობრივი მტრებისას.

მსოფლიო იმპერიალიზმი ყოველ წუთს ამზადებს ომს ჩვენს წინააღმდეგ და ამაში მას მხარს უმშვენებს და ეხმარება მეორე ინტერნაციონალი, მენშევიზმი, მუშათა კლასის ეს ისტორიული მოღალატე და გაშიშვლებული სოციალ - ფაშიზმი. შინაური კლასობრივი მტრები, კულაკები, მენშევიკები, განადგურებული კლასების და წოდებების ნამსხვრევები კი ურტყამენ რა იმავე წერტილში, სადაც მსოფლიო იმპერიალიზმი სცემს ყოველ წუთს მზად არიან ხელი შეგვიშალონ მავნებლობით, პროვოკაციებით და წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ქადაგებით (ნაციონალიზმი და სხვა) ერთი სიტყვით სოციალიზმის გამარჯვების უტყუარი ფაქტით გამხეცებული მტრები აგზადებენ ჩვენს წინაღმდეგ ინტერვენციას და როგორც ამას კ.წ.დ. არმიის რ. საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს „ჰორიზონტზე თან და თან უფრო ცხადათ და აშკარად იკრიბება ახალი იმპერიალისტური ინტერვენციის ღრუბლები საბჭოთა კავშირის, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის სამშობლოს წინააღმდეგ“.

საკითხავია, ომის ხასიათზე დამდგარი კაპიტალიზმი ხასიათდება თუ არა ისეთი მიღწევებით, როგორც ჩვენ, სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანა? კაპიტალიზმი განიცდის მწვავე კრიზისს. იხურება უდიდესი ფაბრიკები და წარმოებები. 30.000.000-ზე მეტი უმუშევარი პროლეტარი ქუჩებში გაყრილი ულუკმო - პუროთ იტანჯება გადასახადებით. გაძვალტყავებული გლეხობაც ამ უმუშევართა ბრძოლის ხმას უერთდება.

რევოლიუციონური პროლეტარები უკვე აფრთხობენ ბურჟუაზიას, ამას ამტკიცებს კომპარტიების დარბევა, აკრძალვა და სისხლის მღვრელი შეტევები მუშებსა და პოლიციის შორის (გერმანია, პოლონეთი და სხვ.). ჩვენ განვიცდით მუშა-ხელის ნაკლულოვანებას, იქ კი უმუშევრობაა. ჩვენში იზრდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები და სყიდვითი უნარიანობა, იქ კი ეცემა.

ჩვენ ვხსნით ახალ ფაბრიკა - ქარხნების გიგანტებს, (მარტო წელს ამუშავდება 518 გიგანტი და 1040 სატ. სადგური). იქ კი ისინი იხურება. ჩვენში მუშას უყვარს სოციალისტური წარმოება - დაზგა — იქ ეზიზღება, რადგან ის მას არ ეკუთვნის. საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში მშრომელები თავიანთი მკერდით დაიცავენ მტრებისაგან, იქ კი მშრომელები თვით მტრები არიან კაპიტალისტური მთავრობის. ისინი ჩვენი გავლილი ბრძოლების და გამოცდილების გათვალისწინებით კომინტერნის დროშის ქვეშ ემზადებიან პროლეტარული რევოლიუციონურ ცეცხლის დასანთებად და ჩვენც ამას ველით. ჩვენი თითეული მიღწევა მათი გამარჯვებაა. ჩვენი წითელი არმიის სიძლიერე, რომელიც ყოველთვის მტკიცდებოდა და საბოლოოდ დამტკიცდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზაზე მომხდარ შეტაკებაში, აძლიერებს მსოფლიო რევოლიუციის ჯარისკაცთა სიმამაცეს.

ომის საშიშროება ისე, როგორც ეს ეხლა არის არასოდეს არ ყოფილა მოახლოვებული, ამისათვის ბოლშევიკურად უნდა შევასრულოთ 5 წ. 4 წელიწადში, გამარჯვებით დავაბოლოოთ ... უკელა ... კამპანიები (პურის დამზადება, სესხის რეალიზაცია, სახსრების მობილიზაცია, მოსავლის აღება - განაწილება და სხვ.).

ჩვენი ცვალებადელების (და ყველა მებრძოლის) ამოცანაა: მივიღებთ რა აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში მთელი ენერგიით და ახალგაზრდური ენტუზიაზმით ავსწიოთ ჩვენი ნაწილების და თვითეული მებრძოლის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონე, სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ფართოდ გამოყენებით.

არ დავკარგოთ არც ერთი წუთი ისე, რომ არ ვისწავლოთ. ჩვენი ლოზუნგია: „ყველა ისეთი მებრძოლები, რომლის ტყვია არ ასცილდება მტერს“. „ისეთი პოლიტმომზადება, რომლის საშუალებით ბოლშევიკურად გადავჭრით ყველა საკითხებს“. „ისეთი მებრძოლი, რომელიც იპყრობს ტეხნიკას და იბრძვის კულტურული რევოლიუციისათვის“.

სასიკვდილოთ დავსცხებთ რა კონტრრევოლიუციონერების ნამსხვრევებს და კლასობრივ მტრებს, სადაც არ უნდა იყოს იგინი, აღვზრდით რა ჩვენს ... ინტერნაციონალურად ყოველგვარ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე, მთელ წ.დ. არმიასთან ერთად მებრძოლის ხმით დავსჭექთ მტრებს: „ხელები შორს ჩვენგან“. „ეგ არ მოხდება! ჩვენ არავის მივსცემთ უფლებას დაგვადგან კაპიტალისტური ექსპლოატაციის წამებისა და მონობის უღელი“.

იმპერიალისტების ზრახვებზე საუკეთესო პასუხი იქნება ლენინური პარტიის შემდგომი შემჭიდროვება, ა.-კ. ფედერაციის და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცებისათვის. კომუნარებო! კომკავშირელებო! მოგვეცით სახე ბოლშევიკური გმირობის! ოქტომბრის რევოლიუციის მთამომავალნო და ლენინიზმის მემკვიდრენო! იყავით მისაბაძი წითელი არმიის რიგებში და ყველგან. სოციალისტური წარმოების დამკვრელო მუშებო! გადმოიტანეთ თქვენი საწარმოო გმირობა ყაზარმებში!

ახალი სოფლის მშენებელნო კოლმეურნენო! შეიძინეთ აქ ცოდნა და ამით აღზვირთეთ ღარიბების, საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების ახალი ტალღები კოლმეურნეობებისაკენ. სწერეთ წერილები სოფლის სიმართლეზე, რომ იქ კულაკის ტვინებმა ვერ გასჭრას.

მებრძოლნო! მჭიდრო... კომპარტიის დროშის ქვეშ—სოც... იზმისკენ!

გაუმარჯოს წ.დ. არმიის მჭიდრო რიგებს, დიდება იმ მებრძოლებს, რომლებიც ბარიკადებზე დაეცენ და დაეცემიან წ. არმიის სიძლიერისათვის.

გაუმარჯოს ა.-კ. ფედერაციას და ხალხთა ძმურ ინტერნაციონალურ კავშირს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის მედროშეს კომინტერნს და მუშათა კლასის ბელადს, ამხ. სტალინს! ძირს იმპერიალიზმი, სიკვდილი მას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ძლიერების განმტკიცებას 5 წლ. 4 წელიწადში და კიდევ მოკლე ვადებში შესრულებას, საქართველოს მსოფლიო მეურნეობის სოციალისტური ფრონტის გაფართოებას და კავკასიის წ.დ არმიის საბრძოლო უნარიანობის გაზრდას. ცვალებადელნო! ყველანი საქმეზე.

დაეუფლეთ იარაღის მოხმარის ტეხნიკას, გადაარჩეთ ერთგულად წითელი ყაზარმა, ეს საუკეთესო სკოლაა ჩვენი მშენებლობისა.

იყავით ფხიზლად, ყოველ მხრივ. მათ შორის შიგნითაც, რადგან შეიძლება ჩვენს რიგებში შემოპარულია კლასობრივი მტერი. დროზე ვამხილოთ ის და მისი ზრახვები. მიღებული ცოდნით ვიყოთ მზად წითელი სამშობლოს დასაცავად და ამ საქმეს მივსცეთ ჩვენი გული, სისხლი და კუნთები.

ზიზღი ლაჩრებს, ზარმაცებს, და უხასიათოებს, ვიყოთ ფხიზელი, მამაცი და გამჭრიახი.

ცალკე ნაწილებო! ყველა საქმისაკენ. იბრძოლეთ პირველობისათვის, დაირჩინეთ გარდამავალი ჯილდო ა.-კ. მთავრობისა.

# საბრძოლო მომზადების მაღალი ტემპებისათვის

## ვიბრძოლოთ გარდამავალი დროშისათვის

იმისათვის, რომ გარდავქმნათ ძირედი პრესა საარმიო უჯრედის მდივნების თათბირის და უკანასკნელ მუშკლებ-სამხკორთა თათბირის დადგენილების საფუძველზე, ვაცხადებთ კონკურსს განაყოფების „ილიჩოვკებ“-ს შორის.

—:—

არსდება გარდამავალი ჯილდო: ლენინის ბიუსტი.

მიიღებს ჯილდოს ის რედკოლეგია, რომელიც სავსებით გამოიყენებს ყველა არსებულ ყველა ფორმებს და მეთოდებს საბრძოლო გეგმის მებრძოლამდე დაყვანის საქმეში.

დროულად და კონკრეტულ ფაქტებით გააშუქებს ყოველდღიურ მუშაობას დისციპლინის ცალკე დარგების მიხედვით.

მისცემს სწორ მიმართულებას სოცშეჯიბრს და დამკვრელობას, დროულად გამოამჟღავნებს ცრუ დამკვრელებს და ფართოდ გაშლის ბოლშევიკურ თვითკრიტიკას.

ღირსეულად გააშუქებს ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხს, შეუწყობს ხელს მებრძოლთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ყოველგვარ ნაციონალიზმთან ბრძოლით. დარაზმავს პარტკომკავშირის ირგვლივ უპარტიო მასას, დარაზმავს კოლმეურნეობის ირგვლივ საუკეთესო მშრომელებს.

—:—

ჯილდოს მიიღებს ის რედკოლეგია და „ილიჩოვკა“-ა რომელიც სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს უდისციპლინობას, გულგრილობას, უპასუხისმგებლობას და ყოველგვარ ბოროტებას, ხელს შეუწყობს მებრძოლთა შორის სამარი ტეხნიკის საკითხების პოპულიარიზაციას და მიმართავს მთელ თავის ენერგიას, საბრძოლო მზადების საქმეში აღებული ტემპების განვითარებისაკენ.

—:—

ჯილდოს მიიღებს ის „ილიჩოვკ“-ა, რომელიც ხელს შეუწყობს და გააშუქებს ღირსეულად ველად გასვლებს, ჩატარებულ სროლებს და საშედეგო მეცადინეობებს; რომელიც შეუწყობს ხელს მებრძოლთა შორის პარტ-პოლიტ-განათლების საქმეს და კლასიური შეგნების განმტკიცებას.

დაჯილდოვებული იქნება ის რედკოლეგია და „ილიჩოვკა“, რომელიც ჩააბამს პრესის მუშაობაში სამხკორ წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის მეტ რიცხვს, რომელიც ფართოდ გააშუქებს მასიურსაагიტაციო მუშაობის დარგს და გაშლის მუშაობას საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის ხარისხიანობის ამაღლების მიზნით.

—:—

ბოლოს, ჯილდოს მიიღებს ის რედკოლეგია, რომელიც შეუწყობს ხელს მტკიცე ნებისყოფის, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებულ და ინიციატივის მქონე მეთაურის გამომუშავების საქმეს.

„შრაპნელი“-ს რედაქცია.



წითელარმიელები მეცადინეობაზე

# ჩვენი მიზნები

ჩვენი ლეგიონის ურყევი მებრძოლი და ორგანიზატორი გაზეთი „შრაპნელი“ უდიდესი ამოცანების წინაშე დგას.

მუშაობის ბოლშევიკურ ტემპებს მან პირდაპირი პასუხი უნდა გასცეს ლეგიონის საბრძოლო და პოლიტმომზადების ყველა საკითხებში. მას ეს გაუძნელდება სათანადო დახმარების გარეშე. სწორედ ეს გაითვალისწინეს საქ. კ.პ.(ბ) და საქართველოს პროფ - საბჭოს ორგანომ გაზ. „მუშა“-მ და საქართველოს მიწსახკომისა და კოლმეურნეთა ცენტრის ორგანომ „კოლექტივიზაცია“-მ და აიღეს შეფობა „შრაპნელზე“ მათ მაგალითს სხვა გაზეთებმაც უნდა წაბაძონ და მიემგრონ სამხედრო ბეჭდვითი ორგანოებს.

აი ეს იქნება ნამდვილი დახმარება და ხელის შეწყობა მუშაობაში.

„შრაპნელი“-ს რედაქცია

# ბრძოლა

საუკეთესო მეთაურისათვის, პოლიტმუშაკისათვის და მებრძოლისათვის


**ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე წითელ არმიის საბრძოლო და პოლიტმომზადება, რომ ჩვენი გასროლილი ტყვია არ ასცდეს მტერს. ცვალებადელნო! დაეუფლეთ იარაღის ხმარების ტეხნიკას**

## კურსანტი—პრაქტიკაზე

უფროს მეთაურის მუშაობისაგან, მის მიერ თავის ათეულის, ქვემეხის მეცადინეობის ორგანიზაციისაგან დიდათ დამოკიდებულია დანაყოფის მთლიანი საბრძოლო მომზადების ხარისხი.

უფროს მეთაურის პოლიტ-ორგანიზაციის მიერ დასმულ ამოცანის გარშემო მასების დარაზმისაგან, დიდათ დამოკიდებულია ამა თუ იმ საკითხის წარმატებით გადაჭრა.

ჩვენ გვყავს უმცროს მეთაურთა საუკეთესო კადრი, რაც აღნიშნა უჯრედების მდივნების არმიის მე-3 თათბირმა, მაგრამ საუბედუროთ, ჩვენ ვერ ვიტყვით მას, რომ ხელმძღვანელობა უმცროს მეთაურზე ზემდგომ უფროსებისაგან საკმარი იყოს.

არის შემთხვევა, როდესაც უმცროს მეთაურის, როგორც პოლიტ-აღმზრდელის როლი იშლება, ამას ხშირათ სცვლის „ჯგუფორგანიზატორი და სხვა.

ჩვენ უნდა დავეხმაროთ უმცროს მეთაურებს, უნდა გაუწიოთ მათ სათანადო ხელმძღვანელობა, ამას მოითხოვს უმცროსი მეთაური და მისი ავტორიტეტი, რასაც დღეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

15 აგვისტოდან ლეგ-სკოლის კურსანტები კვლავ დაუბრუნდნენ პრაქტიკას, ისინი იკავებენ უმცროსი მეთაურის თანამდებობას. მათი პრაქტიკის სათანადოთ უზრუნველსაყოფათ პარტ-ორგანიზაციის მეთაურთა შემადგენლობის წინაშე იშლება ფრიად საყურადღებო ამოცანები.

ამ ამოცანების გადასაჭრელად დანაყოფების უჯრედებმა უნდა დასვან სპეციალური საკითხი მათთან მუშაობის ფორმების და მეთოდების გამომუშავებისათვის. არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გეგმების დაგვიანებით დაყვანას, რაც ვერ უზრუნველყოფს კურსანტთა მეცადინეობისათვის მომზადებას. მთავარია საკითხი სამხედრო ენის გამომუშავებისა და აღმზრდელობითი ჩვევების გამტკიცების შესახებ.

აგრეთვე ჩვენ უზრუნველყოფილი არ ვართ იმისაგან, რომ კურსანტები მუშაობის მსვლელობაში არ დაუშვებენ შეცდომებს. აქ საჭირო არის ლენინური ხელმძღვანელობა ამ შეცდომაზე სწავლებისათვის და შის ბოლშევიკურად გამოსწორებისათვის.

თვითეულ დანაყოფის უფროსმა მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად უნდა დაამუშაოს მათთან მუშაობის გეგმა, რაც მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები.

უმცროს მეთაურთა მასიური მუშაობა. 2) უმცროსი მეთაური და სოც. შეჯიბრება. 3) უმცროსი მეთაური და მეცადინეობის პოლიტ-უზრუნველყოფა.

კურსანტმა— პრაქტიკანტმა კი თავის მხრივ უნდა ეცადოს ისწავლოს სწრაფი გარკვევა შექმნილ მდგომარეობაში, აღზარდოს თავისში მტკიცე ნების ყოფა და გამბედაობა, ძოვალი პრაქტიკული მუშაობა, ველად გასვლები სარაზმოსწავლებანი — საკმარისად უზრუნველყოფენ ამას.

კურსანტები უნდა ეცადნენ სისტემატიურად იოემზადონ მეცადინეობისათვის, დროულად დაიყვანონ მეცადინეობის გეგმები მებრძოლამდე, ჩაითრიონ სოც-შეჯიბრში თავისი ასეული. სადაც თითონ უნდა იდგნენ მოწინავე რიგებში, მოითხოვონ ყველა მებრძოლებისაგან სისწრაფე და აკადემიური ნების ასრულება, ას წავლონ [illegible] და არა სიტყვიერი [illegible]. [illegible] დრო გამოიყენონ მებრძოლის მიერ თავისი საბრძოლო მომზადების ამაღლებისათვის, აწარმოონ მასიური მუშაობა, კონკრეტიული ამოცანები დაუსვან პარტ-ორგანიზაციას, აწარმოონ მიღწევების აღრიცხვა და ნაკლის დაუყოვნებლივი გამოსწორება და ამავე დროს უნდა იყვნენ მებრძოლთათვის ნამდვილი უფროსი, ამხანაგი, მასწავლებელი და ლენინელი — ხელმძღვანელი. თავის თავისა და ხელქვეითების აღზრდა, საბრძოლო პოლიტიკური მომზადება, აი, მუდმივი ამოცანა კურსანტის წინაშე მდგარი და ბოლშევიკური ენტუზიაზმით და ენერგიით აუცილებელი მისაღწევი.

ამ პირობებში პარტ-ორგანიზაციის და მეთაურთა შემადგენლობის ამოცანები დიდია. ამ ამოცანების შესრულებისაკენ, სხვა ამოცანებთან ერთად, გვიხმობს საარმიო უჯრედის მდივნების მე-3 თათბირის ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

**კურსანტი**

## ბრძოლის უნარიანობა
### დამოკიდებულია მეთაურის მომზადებაზე

მეთაურის პირად მომზადებას, დანაყოფის ბრძოლის უნარიანობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბრძოლის სადი განწყობილება, მკაცრი საკონტროლო ციფრების და უდიდესი ტემპების შესრულება, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის მიღწევებთან, მოითხოვს თვითეულ მეთაურისაგან: მთელი ძარღვების დაჭიმვას, და თვითკონტროლს, რათა არც ერთი საათი არ იქნეს გაცდენილი უმიზნოდ.

მცირე ნაწილი ცვალებად მეუფროსეთა შემადგენლობისა მოვიდა ჩვენთან ისეთი განწყობილებით, რომელიც არავითარი ტემპების მომასწავებელი არ იყო.

10-15 დღე სათანადო მუშაობის და მეცადინეობის შემდეგ ჩვენ გვაქვს მიღწევები, მაგრამ ნაკლი ჯერჯერობით სჭარბობს. ადგილი აქვს უპასუხისმგებლობაში ერთეულ შემთხვევებს, როგორიცაა დაგვიანება ქალაქიდან, არ მოსურვება თვით მომზადების დონის აწევის და სხვა.

თავისუფალი დრო ხშირად ხმარდება უსაფუძვლო ლაპარაკს და ძილს.

მომზადების დონე ძალზე ჭრელია. დაინტერესებულ და აქტიურ ამხანაგებთან ერთად, როგორც არიან ამხ. ამხ. **არუთინოვი** და **ძამაშვილი** ჩვენ გვაქვს შემთხვევები სრული უპასუხისმგებლობისა. მეთაური, რომელიც იძახის, რომ სამთო ქვემეხის სრული დასახელება არ ვიციო, სირცხვილით უნდა იწოდეს. ეს უნდა შევაგნებინოთ მას.

ჩვენ დავამუშავეთ 4 თემა, გავიარეთ სროლის ახალი წესები. მოვიგონეთ მუშაობა ხელსაწყოებთან და ცეცხლის სამსახური.

ყველა ამას ესაჭიროება მეტი გაღრმავება, რასაც მივაღწევთ შემდეგი პირობით: 1. თვითეულ მეთაურმა უნდა იგრძნოს მეტი პასუხისმგებლობა და 2. უდიდესად უნდა იქნას გაშლილი ინდივიდუალურ დავალებათა მიცემა და შესრულების კონტროლი.

გარდა ამისა, უნდა გამახვილებულ იქნას ყურადღება იმაზე, რომ მეთაური არის სრული პატრონი თავის დანაყოფისა და პასუხისმგებელი, როგორც სამწყობრო —მომზადებაზე ისე პოლიტ-მუშაობაზე.

სათანადო დარაზმვით და ენერგიულ მუშაობით ჩვენ შევძლებთ გადავლახოთ ყველა სიძნელეები და ჩვენს ლეგიონს, არამც თუ შევიყვანთ შეფასებაში, არამედ დავიკავებთ კიდეც საპატიო ადგილს სხვა არტ-ლეგიონებში. ამის პირობები ჩვენ გვაქვს. საჭიროა მხოლოდ სურვილი, დაჟინება და მუშაობის ბოლშევიკური ტემპები.

**დივიზიონის მეთაური ივანოვი**



ამხ. ვოროშილოვი



საუბარი წითელარმიელებთან

## რა უნდა ახსოვდეს ათ-მეთაურს

**შენ ითვლები შენი ათეულის უშუალო აღმზრდელად და ხელმძღვანელად, როგორც სამხ. ისე პოლიტიკურ საკითხებში. შენს მოვალეობას შეადგენს.**

**1. უჩვენე მაგალითი შენი ათ შემადგენლობას მეთაურთან მისვლა ბრძანების განმეორებაში ხმა მაღლა და მის ზუსტად შესრულებაში, რაც სწყვეტს საბრძოლო ამოცანის ზუსტათ შესრულებას.**

**2. შენ უნდა იყო მაგალითი შენს ათ. სისწრაფეში და მოქნილობაში.**

**3. ყოველ დღიურად უნდა გასინჯო შენი ათეულის კულტურული მდგომარეობა, ტანისამოსი, ქვეშაგებელი (ლოგინის მოწყობილობა) იარაღი ხელის, ქვემეხები, დანაკლისი უნდა მოახსენო შენს უშუალო უფროსს.**

**4. ყოველდღიურათ უნდა დაიყვანო თვითეულ მებრძოლამდე მეორე დღის სამეცადინო გეგმა.**

**5. შენ უნდა იყო მაგალითის მაჩვენებელი სოცშეჯიბრში და დამკვრელობაში.**

**6. უნდა აწარმოო აღრიცხვა სოცშეჯიბრის და შეაჯამო ის თავის დროზე.**

**7. აწარმოე შენს ათ. ჩამორჩენილი ამხ. აღრიცხვა და დაეხმარე მას, რომ დაეწიოს მოწინავე ამხანაგს.**

**8. ათმეთაურის მოვალეობას შეადგენს ყოველდღიურად გადასცეს თავის ათშემადგენლობას ახალი ამბები გაზეთებიდან, როგორც საერთაშორისო ისე საბჭოთა კავშირის სინამდვილიდან.**

**9. ათმეთ. შენ უნდა იბრძოლო რკინისებური დისციპლინის გამტკიცებისათვის. არ მოგიხდეს არც ერთი დისციპლინის დარღვევა შენს ათეულში.**

**10. არ ჩამორჩე თვითმომზადებას, როგორც საბრძოლო ისე პოლიტ საკითხებში.**

**11. იბრძოლე შენი ათ. საბრძოლო მომზადების [illegible] ტემპებისათვის.**

**12. მიიღე აქტიური მონაწილეობა „ილიჩოვკაში“ და ლეგ. მრავალტირაჟ. გაზეთში სადაც გააშუქე ათ. საბრძოლო და პოლიტ - მომზადების მიღწევები და ნაკლი.**

**13. იბრძოლე, რომ აღზარდო შენი ათეული სამაგალითოდ.**

**1-ლი ბატ. პოლიტხელი:**

**სვანიძე.**

## საბრძოლო მზადების ამოცანები

წელს საერთო შეკრებაზე ჩვენ გვეყოლება მასა ცვალებადელებისა, რომლის დიდი უმრავლესობა იქნება მუშები და კოლმეურნეები. ამ „შესაკრებ პუნქტზე“ ერთი მეორეს შეხვდებიან მუშურ - გლეხური ახალგაზრდობა, შრომის ენტუზიასტები;

ჩვენ მათგან გავიგონებთ მრავალ მოთხრობებს სოციალისტურ მშენებლობის მიღწევებზე.

კოლმეურნეობის გამარჯვებაზე, ჩვენ სოც. წარმოებაზე, დაბრკოლებებზე, რომლებსაც მუშათა კლასი გმირული ბრძოლით ლახავს ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით, და გზას იკაფავს სოციალიზმისაკენ. მაგრამ მათ შორის აქა იქ უსათუოდ იქნებიან კულაკური ელემენტები, რომლებიც შეეცდებიან მებრძოლთა შორის გაასაღონ კულაკურ კონტრევოლიუციონური აზრები.

ამისათვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ხდება მასიური პოლიტიკური მუშაობა ცვალებადელთა შორის.

პოლიტიკური მეცადინეობა უაღრესად გარდამწყვეტ როლს თამაშობს მებრძოლების საბრძოლო ამოცანების ირგვლივ დარაზმვის საქმეში და ამიტომ თავიდანვე პოლიტიკური მეცადინეობა უნდა გავხადოთ პოლიტ - აპარატის და პარტიულ ორგანიზაციის მძლე ბერკეტათ და მის საშუალებით მოვახდინოთ კლასიური შემჭიდროება პარტიის გენერალურ ხაზის გარშემო.

ავსწიოთ ტემპები და ხარისხი საბრძოლო სწავლებისა, მებრძოლებს პირველი დღიდანვე უნდა განემარტოს რომ: წელს შეკრება გვიხდება საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის საშიშროების პირობებში — და აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანები სოციალისტური საბრძოლო საქმეში ეხლა განსაკუთრებულია;

რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა მიღწევებმა გააძლიერეს წითელი არმია, რომ ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში, რომ ყოველდღე იზრდება მძიმე ინდუსტრია, შენდება ახალი ქარხნები — გიგანტები და ეს უკანასკნელი კი აძლევს წითელ არმიას ტეხნიკურ სიძლიერეს; რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა: დავეუფლოთ ტეხნიკას, განსაკუთრებული ყურადღება ტეხნიკისა და იარაღის მოვლა - შენახვის საქმეს.

[illegible] დაჭიმვით ჩვენ უნდა მივაღწიოთ საბრძოლო სროლის 100 პროც. შესრულებას. თითოეული მეთაური, პოლიტ - მუშაკი, მებრძოლი უნდა ფიქრობდეს და იბრძოდეს იმისათვის, რომ ლეგიონმა ყველა სროლები წარმატებით ჩაატაროს და მით დაიმსახუროს ამიერ კავკასიის მშრომელების გარდამავალი ჯილდო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ და სამწყობრო მომზადებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკურად სუსტი წითელ არმიელი ვერ იქნება კარგი მებრძოლი, რომ ფიზიკურად სუსტათ მომზადებული ნაწილი არ შევა საერთო შეფასებაში.

სულ მოკლე ხანში უნდა გავიხსენოთ გასულ წლებში გავლილი სპეციალური მომზადება, შევავსოთ ის ახალი ცოდნით და სარაზმო სწავლებას შევხვდეთ სრულიად მომზადებული; უნდა ვიცოდეთ ზედმიწევნით კარგად ჩვენი იარაღის თვისებები და მოხმარება. უნდა გვახსოვდეს, რომ არტილერია ძლიერია მხოლოდ მცოდნე ხელში.

რკინისებური რევოლიუციონური დისციპლინა საწინდარია წითელ არმიელის სიძლიერისა და მის მიერ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებისა. ჩვენს ლეგიონს წარსულში ჰქონდა გარღვევები დისციპლინის საქმეში. მაგრამ ლეგიონის მთელი შემადგენლობის ბოლშევიკურმა ნებისყოფამ და სიმტკიცემ დასძლია ეს ნაკლი.

[illegible] ჩვენი ამოცანაა გავაღრმავოთ მიღწევები, ვიბრძოლოთ რევოლიუციონური დისციპლინის განმტკიცებისათვის, განვახორციელოთ ლოზუნგი „არც ერთი დანაშაული 2-რე ქართულ არტლეგიონის რიგებში“.

პირველ რიგში თავისი კლასიური შეგნება უნდა გვიჩვენოს უფროსთა შემადგენლობამ და პარტ - კომკავშირელებმა. უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი წესრიგის გარღვევათა წინააღმდეგ და დაუყონებლივ აღმოფხვრათ ყოველივე ცდა დისციპლინის დარღვევისა.

უჯრედის მდივნების მესამე თათბირის დადგენილება პარტ - კომკავშირელების ამოცანებზე დისციპლინის განმტკიცების საქმეში მთლიანად უნდა იქნეს შესრულებული. სოციალისტური შეჯიბრი და დამკვრელობა, უმნიშვნელოვანესი ბერკეტია საბრძოლო და პოლიტიკურ მზადებაში და უდიდესი ფაქტორია დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ლეგიონს ამ დარგში აქვს სათანადო გამოცდილება და ეს გამოცდილება უნდა გამოყენებული იქნას 1-ლ დღიდანვე, სოციალისტურ შეჯიბრს და დამკვრელობას სათავეში უნდა ჩაუდგეს უფროსთა შემადგენლობა და მიმართოს ის ვიწრო ადგილების გამოსასწორებლად, არც ერთი მეცადინეობა, არც ერთი ველზე გასვლა, სადაც მეთაურის მიერ არ იქნება კონკრეტული ობიექტები დასახული სოც - შეჯიბრისა და დამკვრელობისათვის.

ფრუნზელო არტილერისტებო! 1-ლი დღიდანვე ავიღოთ ბოლშევიკური ტემპები საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლების საქმეში, ვიბრძოლოთ სროლის საქმისათვის, პოლიტ-მზადებისათვის, დისციპლინისათვის, ტეხნიკის და საბრძოლო ცხენის საუკეთესო მოვლისათვის. ფიზმომზადებისათვის და ველის დაპყრობისათვის.

ვიბრძოლოთ ლენინური ნებისყოფით. უკუვაგდოთ ძველი მამა - პაპური შრომის მეთოდები და მით ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიის არტილერია დავაყენოთ საპატიო ადგილზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის არტილერიის რიგებში.

**ლეგიონის მეთაური და სამხედ. კომისარი: პ. ლესელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდავქმნათ ორ ფრონტზე ბრძოლის ნიშნის ქვეშ

## პარტიული და მასიური მუშაობა საარმიო უჯრედების მდივნების თათბირის დადგენილებათა საფუძველზე

**უნდა ვიცოდეთ** || რომ პარტიული და კომკავშირელი, თუ ის არ იქნება წითელი არმიის რიგებში სამაგალითო ყოველ მხრით, ის არ არის ღირსი ატაროს კომუნისტის სახელი

## ფართოთ გავშალოთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

სოცშეჯიბრებამ და დამკვრელობამ რომელიც მასების კლასიური შემჭიდროების და სოციალისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს, დიდათ უნდა შეუწყოს ხელი საბრძოლო მომზადების ღირსების ამაღლებას, მასების ინციატივის გაშლას, ყველა ძალებისა და საშუალებების გამოყენებას წარსული გამოცდილების საფუძველზე.

წარსულ შეკრებაზე ნამდვილ სოც შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლამ დიდათ შეუწყო ხელი წითელ არმიელთა საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებას და მოგვცა არა ერთი ვაჟკაცური და საგმირო მაგალითები.

ჩვენ სინამდვილეში სოც -შეჯიბრება უნდა იშლებოდეს სასწავლო საბრძოლო მომზადების გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულების ირგვლივ. მებრძოლებმა და მეთაურებმა ინდივიდუალური და ჯგუფური ხელშეკრულებების გზით უნდა შესძლონ საბრძოლო სწავლების ცალკე დარგების მიხედვით ნორმატიული მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულება.

მთავარი და ძირითადი პირობა სოცშეჯიბრისა და დამკვრელობისა, — ეს არის მაზედ სწორი ხელმძღვანელობა. სწორად დაყენებული აღრიცხვა, სისტემატიური ბრძოლა ცრუდამკვრელობასთან. ურთიერთი გამოცდების გამოყენება, მუშაობის პროცესში შემჩნეული ყოველგვარი ნაკლოვანების გამომჟღავნება მის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით და ყველაფერი ეს ჩიინ მოგვცემს საუკეთესო შედეგს.

სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას სათავეში უნდა ედგას მეთაურთა შემადგენლობა. მათ თავის დროზე უნდა მისცენ წითელ არმიელთა მასას სოც - შეჯიბრის და დამკვრელობის ობიექტები.

ყოველ დეკადაში შეამოწმონ გავლილი მუშაობა და მოახდინონ მისი თვალსაჩინოთ გამოსახვა.

სკ.პ.(ბ) უჯრედი უდიდეს დახმარებას უნდა უწევდეს ამ საქმეში მეთაურთა შემადგენლობას. მან უნდა შესძლოს პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სოც - შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე.

სოც - შეჯიბრის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად იგი გამაგრებულია ფართო რაციონალიზატორული მუშაობით.

მიმდინარე წლის საერთო შეკრებაზე ჩვენი ლეგიონის პირად შემადგენლობამ უნდა დაამტკიცოს თავისი თავდაცვა, სოციალისტური ქვეყნის დაცვისათვის მზად ყოფნაში. სოც - შეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდით უნდა დავდგეთ მოწინავეთა რიგებში.

**დურ**

## უპასუხისმგებლო ამხანაგი

პარტიის წევრი ამხ. **ტყაბლაძე** ქვემეხის უფროსად არის დანიშნული. მას პასუხისმგებლობის ქვეშ აქვს ჩაბარებული ერთი ქვემეხი, მაგრამ ტყაბლაძე არ გრძნობს თავს პასუხისმგებლად.

8-10 ივლისს როდესაც სამეცადინოთ მივედით და ქვემეხი აღმოჩნდა ჟანგიანი და დამტვერეული, ამის შესახებ უჯრედს არავითარი ზომები არ მიუღია.

პოლიტ-საათზე ტყაბლაძე სრულებით არ უგდებს ყურს მეცადინეობას. იმის მაგიერ, რომ ტყაბლაძე, როგორც პარტიული მაგალითს იძლეოდეს, ის პირიქით იქცევა.

**კოლექტივისტი.**



წითელარმიელები ტყვიამფრქვევის მეცადინეობაზე

## ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცაკის დადგენილება

1. დგას რა საბჭოთა კ. კშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების სადარაჯოზე, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცაკს სურს მიიღოს კ. წ. დ. არმიის საბრძ. და პოლიტ. მომზადების ამაღლების საქმეში შემდგომი აქტიური მონაწილეობა. ამ მუშაობის გაძლიერების და მისთვის სტიმულის მიცემის მიზნით ა.-კ ცაკი აწესებს სპეციალურ წახალისების გარდამავალ ჯილდოს კ.წ.დ. არმიის იმ ნაწილებისათვის, რომელთაც სამოსწავლო წლის დასასრულს მოგვცეს მაღალი მაჩვენებლები პოლიტიკურ და საბრძოლო მომზადების საქმეში, წითელარმიელთა და მეუფროსეთა შემადგენლობის დისციპლინის მდგომარეობაში.

2. განზრახულ მიზნისათვის დაწესებულ იქნას გარდამავალი ჯილდო: დივიზიის—საუკეთესო პოლიტიკურ, ტაქტიკურ, სასროლო და ფიზიკურ მომზადებისათვის — ა.-კ.ს.ფ.ს.რ. ცაკის დროშა.

3. მიზაშეწონილად იქნეს მიჩნეული რესპუბლიკანურ ჯილდოების დაწესება.

1) ლეგიონის საუკეთესო სასროლო მომზადებისათვის საქ. ს.ს.რ. ცაკის დროშა.

2) ლეგიონის საუკეთესო ტაქტიკური მომზადებისათვის აზერბეიჯანის ს.ს.რ. ცაკის დროშა.

3) ლეგიონის საუკეთესო ფიზიკურ მომზადებისათვის სომხეთის ს.ს.რ. ცაკის დროშა.

4) ლეგიონის საუკეეთსო პოლიტიკური მომზადებისათვის ბაქოს საბჭოს დროშა.

4. სამხედრო ნაწილების — საუკეთესო წითელარმიელების, მეთაურების და პოლიტ-მუშაკების დასაჯილდოვებლად დაწყებული 1931 წლიდან ყოველწლიურად გამოიყოს კ.წ.დ. არმიის რევსამხსაბჭოს განკარგულებით საჭირო სახსრები.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

მდივანი **სულთანოვი.**

## ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ცაკის რესპუბლიკანურ დროშისათვის ბრძოლა

### გადავაქციოთ სახელისა და გმირობის საქმედ

**მასების ენტუზიაზმი გადავადუღოთ სასროლო ძლირებით, განაყოფების და ნაწილის უმაღლეს ტაქტიკურ მომზადებად, ფოლადისებურ რევოლიუციონურ დისციპლინათ, მაღალ კლასიურ პოლიტიკურ მომზადებად, ტეხნიკის დაპყრობაში პრაქტიკულ მიღწევად.**

### ბრძოლა ჯილდოსათვის

საბჭოთა კავშირის გიგანტიურ ორგანიზმში ძლიერად სცემს ინდუსტრიის გული. კოლმეურნეობათა თვალუწვდენელ მინდვრებზე ტრაქტორთა ათი ათასები ძირ - ფესვიანად თხრიან საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას, კულაკურ მონობას, ქმნიან ახალ სოციალისტური სოფელს.

**518 და 1040** კიდევ ჩქარა მიემატებიან ჩვენ დიდ ოჯახს.

ლენინური კომპარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს ს. ს. რ. კ-ში დასრულდება სოციალისტური ეკონომიკის სათაძველი.

კაპიტალისტური მსოფლიო ..ხ-რჩობა და მწვავე ეკონომიური კრიზისში და გამწვავებული რევოლიუციონურ მოთაობის რკალში, გამოსავალს ეძებს ომში, რომელიც პირველ რიგში ჩვენს წინააღმდეგ იქნება მომართული.

ვხედავთ და გვესმის რა ყველაფერი ეს, ჩვენ უნდა ვიყოთ მზად უკანასკნელ ისტორიულ მტერთან, კაპიტალისტებთან, გარდამწყვეტი ბრძოლისათვის.

ეს ნიშნავს წითელი არმიის საბრძოლო მზად ყოფნის ჯერ არ არსებულ სიმაღლემდე აყვანას.

ეს ნიშნავს, იმას, რომ ყოველ წითელარმიელში, მეთაურებში და პოლიტ-მუშაკებში აღვზარდოთ ლენინიზმის მებრძოლი მედროშე, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისათვის თავდადებული.

ეს ნიშნავს, იმას, რომ ყოველ წითელარმიელ. და უფ.პოლიტშემადგენლობაში აღვზარდოთ ფოლადისებური თვისებებით, განსაკუთრებით ნებისყოფის და უდიდესი ინიციატივისათვის მქონე ადამიანი.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ცაკი აწესებს რა გარდამავალ ჯილდოს კ.წ.დ. არმიის ნაწილებს შორის, ამ მაღალ რევოლიუციონურ საჩუქრის მიღებისათვის ბრძოლას სთვლის მებრძოლის მიერ თავის სახელის და გმირობის საქმედ.

კერძოთ ჩვენი ლეგიონის მთელმა პირადი შემადგენლობამ საერთო შეკრების დაწყების დღიდანვე უნდა გადასდგას გარდამწყვეტი ნაბიჯი ა.-კ. ცაკის გარდამავალ ჯილდოს მისაღებად.

სიტყვა მებრძოლებს და ხელმძღვანელ შემადგენლობას ეკუთვნის.

**ოდიშარია**

## გარდავქმნათ მასიური მუშაობა

წითელ ჯარში მასიური მუშაობა უნდა წარიმართოს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების გადაჭარბებით შესრულებისკაენ.

მასიური მუშაობის წარმატებით ჩატარება მოითხოვს, რომ მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს პარტკომკავშირის ორგანიზაცია და უპარტიო წითელარმიელთა ფართე მასები.

წელს მასიურ მუშაობაში ფართოდ იქნება გამოყენებული პოლიტმუშაობის ტეხნიკური საშუალებანი, როგორიც არის: ფოტო, რადიო, შუქის გაზეთი, კინო და სხვ.

თითეულ დანაყოფებში ლენკუთხის საბჭოს მიერ პოლიტხელის ხელმძღვანელობით კამოყოფილი იქნება [illegible]ები, რომლებიც დაეხმარებიან [illegible] საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების გეგმის შესრულებაში. [illegible]ყოფებში უნდა მოეწყოს აგიტ[illegible]ადო ჯგუფები, რომლებმაც გამოამჟღავნონ ყველა ნაკლოვანებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მზადებაში.

[illegible]სტემატიურად უნდა გამოვიდეს [illegible] გაზეთი, ან ფოტო ბიულეტე[illegible]ამისათვის კი ყოველ დანაყოფს [illegible] ჰქონდეს ფოტო-საგუშაგო. მაქ[illegible]ლურად უნდა იქნეს გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაცია, უნდა [illegible]დებოდეს დიაგრამები ტაქტიკური მეცადინეობის, სწავლების და დისციპლინის დარღვევების ირგვლივ ა. შ.

**მას.**

## პარტ-კომკავშირის ზოგიერთი საკითხები

ცვალებადელთა საერთო შეკრების გატარება გვიხდება ისეთ პირობებში, როდესაც პარტიამ და ხელისუფლებამ უდიდესი გამარჯვებები ძოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

ლენინურ პარტიის სწორი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმის პერიოდში, ვახდენთ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და ვამთავრებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აგებას.

უდავოა, რომ ამ წარმატებას ჩვენ მივაღწიეთ კლასიური მტრის და მათი აგენტების, მემარჯვენე „მემარცხენეთა" წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლით.

კაპიტალისტები და მათი ლაქია სოციალ-ფაშისტები ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის, ამის გამო საოცრად [illegible] ახლად დამთავრებულ სოც - ფაშისტების მე-2 ინტერნაციონალის კონგრესის მუშაობის შედეგები ვენაში. სადაც ჩვენს წინააღმდეგ აშკარა გამოსვლებს ქონდა ადგილი.

ყველა ფრონტზე გაშლილ სოციალისტურ შეტევასთან დაკავშირებით, შინაური კლასიური მტრები და მათი აგენტები მსოფლიო კაპიტალისტების დახმარებით ყოველ მხრივ ცდილობენ ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობა და დაამხონ პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს მდგომარეობა კი ცვალებადელთა საერთო შეკრებაზე პარტ-ორგანიზაციების წინაშე აყენებს მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანებს.

პარტ-კომკავშირის ორგანიზაციამ მოქნილად უნდა მიმართოს თავისი მუშაობა პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად, და ლეგიონის ფართე მასის სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში მისაზიდათ.

გლეხობის კოლმეურნეობაში ლტოლვა, მუშების წარმოებაზე მიმაგრების ორგანიზაცია და სხვა უნდა ვაწარმოოთ დაუყოვნებლივ, უნდა ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარ გადახრების, ოპორტუნისტულ განწყობილებების მატარებლების წინააღმდეგ, ჩვენ ყოველდღიურ მუშაობაში. ავამაღლოთ მებრძოლთა კლასიური სიფხიზლე. დროულად და სასტიკად დავარტყათ კლასიური მტრების და მათი აგენტების კონტრრევოლიუციონური ფრაზებით [illegible].

გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული ნაციონალისტური გამოსვლის დაუნდობლად გამომზეურებისათვის. ამ მხრივ, ურთიერთ დაცვის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს პარტორგანიზაციის ყურადღების გარეშე. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საკითხი მჭიდროთ უნდა დაუკავშიროთ ამიერ - კავკასიაში ანტი საბჭოთა პარტიების —მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების კონტრრევოლიუციონურ რაობის გამომჟღავნებასთან. მთავარი ცეცხლი ამ მხრივ უნდა მივმართოდ დიდმპყრობელურ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, და არ შევანელოთ ადგილობრივ შოვინიზმთან ბრძოლაში.

პარტ-კომკავშირის ორგანიზაციამ მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა შევსძლოთ ადგილობრივ ნაციონალიზმის —სამხედრო პოლიტიკურ მზადებაში მაღალ მაჩვენებლების მისაღებათ, რევოლიუციონურ შეგნებულ დისციპლინის განსამტკიცებლად., უფროსთა შემადგენლობაში ინიციატივის, თაოსნობის და მტკიცე ნებისყოფის გამოსამუშავებლად.

ჩვენი დაუღალავი და ენერგიული მუშაობით უნდა დავიმსახუროთ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის გარდამავალ ჯილდოს ლეგიონისათვის გადმოცემა. ამისათვის საჭიროა კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლება და მუშაობის გარდაქმნა საარმიო უჯრედის მდივნების მე-3 თათბირის დადგენილებათა საფუძველზე.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა: გარდავქმნათ მუშაობის და ხელმძღვანელობის ფორმები ისე, როგორც [illegible] გვასწავლის ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

დიფერენციალური და ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა [illegible]ტონოთ მუშაობის სისტემაში.

ჩვენ ლეგიონში პარტიის ბირთვი საგრძნობლად გაიზარდა და ეს კი მეტს გვავალებს.

ლეგიონის ორგანიზაცია გააგრძელებს რა ჩვენი პარტიის ნაცადი გზით ბრძოლას კლასიურ მტრებთან და ორ ფრონტზე, შესძლებს სათავეში ჩაუდგეს მებრძოლთა ენტუზიაზმს და ყოველდღიურად წინ წასწიოს წითელი სამშობლოს საზღვრების თავდაცვის საქმე.

ლეგიონის პარტ-ბიურო კოლექტივის პ. მგ. მდივანი: **სევერიან ქურიძე.**



# ბოლშევიკურად გარდავქმნათ ძირეძი პრესის მუშაობა
## და გაუსწოროთ ის საბრძოლო მომზადების მაღალ ტემპებს

## დავრაზმოთ სამხკორთა რიგები ჩვენი საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად

### გარდავქმნათ ძირეძი პრესის მუშაობა

ძირეძი პრესის ირგვლივ უნდა შევქმნათ ფართო საზოგადოებრივი აზრი, უნდა დავრაზმოთ ძირეძი პრესის ირგვლივ აქტიური სამხკორთა კადრები.

ყოველ ნომრის გამოშვების წინ რედკოლეგიის მიერ (უჯრედის მდივნების, პოლიტხელის და განაყოფის უმფროსის თანადასწრებით) უნდა დგებოდეს გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება ყველა ის საკითხი, რომელიც უნდა გავაშუქოთ ამა თუ იმ ნომერში.

მიზნდულ უნდა იქნას ძირეძი პრესის მუშაობაში მეუმფროსეთა შემადგენლობის რაც შეიძლება მეტი რიცხვი.

გაზეთები უნდა მოგვითხრობდენ კონკრეტულ ფაქტებზე, დროის, ადგილის, მიზეზის და საგნის თუ საქმის ვითარების აღნიშვნით.

რედკოლეგიების მიერ შეკრების დაწყებიდანვე აღრიცხულ უნდა იქნას სამხკორთა კადრი. შემოღებულ იქნას განაყოფებში სპეციალური რვეულები სამხკორთა შენიშვნების გამოსწორების მიზნით მიღებულ ღონისძიებათა ასარიცხვად.

რაც მთავარია, უნდა ვაგრძნობინოთ პარტკომკავშირის ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ძირეძ პრესის მუშაობაში. განაყოფის სარდლობა და პარტორგანიზაცია უნდა აყენებდენ განსაკუთრებულ ამოცანას ძირეძ პრესის წინაშე. **დრ.**

### „სამნეოს ხმა"-მ
#### გარდაქმნა თავისი მუშაობა

„სამნეოს ხმა"-ს რედკოლეგია მუშაობდა სუსტად, რადგან მასზე პარტხელმძღვანელობა მოიკოჭლებდა.

გაზეთს არ ყავდა დღემდე დარაზმული სამხკორები თავის ირგვლივ; ანდა როგორ უნდა დაერაზმა მას სამხკორები, როდესაც თვით რედკოლეგიას არ ქონდა ორგანიზაციული სახე და, ის არც ერთხელ არ შეკრებილა.

გაზეთი გამოდიოდა 15-18 დღეში ერთხელ, კომუჯრედები და კომკავშირელები სუსტ მონაწილეობას ღებულობდნენ კედლის გაზეთში და სხვა.

კომუჯრედის ბიურომ, რომელმაც მოისმინა გაზეთის საანგარიშო მოხსენება, რედკოლეგიის მუშაობა სცნო სუსტად და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებისა—არმიის მესამე უჯრ. მდ. თათბირის დადგენილების საფუძველზე.

მოკლე ხნის განმავლობაში რედკოლეგიამ პარტხელმძღვანელობის ქვეშ შესძლო მუშაობაში გარდატეხის მოხდენა და თავის ირგვლივ დარაზმა 20-მდე სამხკორი, რომელთა შორის დამუშავდა არმიის მესამე მდ. თათბირის დადგენილება—ძირეძი პრესის შესახებ.

გაზეთი გამოდის სისტემატიურად 5 დღეში ერთხელ, გაზეთთან გამოყოფილია გაზ. „წით. არმიელის" და „შრაპნელი"-ს საგუშაგო.

გაზეთი იბრძვის პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისი დამახინჯების წინააღმდეგ, მებრძოლთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, პოლიტმეცადინეობის ხარისხიანობისათვის, ფურგუნების, ამუნიციის და ცხენების მოვლისათვის, სახელოსნოებია კარგი მაჩვენებლებისათვის, წითელი ბარაღებისათვის, ამხელს აგრეთვე საუკეთესო და ცრუ-დამკვრელებს.

საჭიროა, რომ რედკოლეგიამ შეინარჩუნოს აღნიშნული მიღწევები და თვიურ შეკრებაზე უფრო გააუმჯობესოს თავისი მუშაობა.

**სამხკორი: ბარიბოვი.**

### დავიცვათ სანიტ - ჰიგიენური
#### პირობები ლეგ. სასადილოში

ჩვენი ლეგიონის სასადილოში ვერ არის დაცული სისუფთავე. მაგიდები არ სუფთავდება და არც ირეცხება.

თვით სასადილო წარმოადგენს უსუფთაო ადგილს, სადაც ყრია პურის ნატეხები, ძვლები და არავინ ფიქრობს მის გასუფთავებაზე. თუ შეეკითხებით სამზარეულოს მორიგეს ან გამგეს—მიიღებთ ასეთ პასუხს: „ჩვენი საქმე ეს არ არის, ის ლეგ. მორიგის საქმეაო". თუ ლეგ. მორიგი არის დაინტერესებული სისუფთავის დაცვაში აღნიშნულ ადგილზე ის მას ასუფთავებს, თუ არ არის და მაშინ ყველაფერი მიტოვებულია უყურადღებოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგ. სანიტ. ნაწილის წარმომდგენელი ხშირად ითხოვს სასადილოში სისუფთავის დაცვას, ეს საქმეს არ შველის.

არ არის დასაშვები ასეთი გულგრილობა სანიტ. დარგში. საჭიროა არის, რომ ლეგ. მესვეურებმა მიაქციონ სათანადო ყურადღება იმას, რომ წითელარმიელებს სადილობა არ უხდებოდეთ გაუსუფთავებელ სასადილოში.

ეხლა თვალი გადავავლოთ ლეგიონის საპირფარეშოს, აქაც არ არის საქმე სანუგეშოთ. მხოლოდ დეკადაში ერთხელ ირეცხება ის და მაშინაც არ ასხამენ კირწყალს.

**მებრძოლი.**

### ყურადღება გაზეთების გამოტანას

ლენკუთხის გამგეს ამხ. **ლომთაძეს** გაზეთები გამოაქვს საღამოობით და წითელარმიელები ვერ ასწრებენ გაზეთის წაკითხვას.

ლენკუთხეში გაზეთები დაყრილი არის მიწაზე. ლენკუთხეში არ არის არავითარი სისუფთავე და სხვ.

ამხ. **ლომთაძეს** მეტათ აინტერესებს ლენკუთხეში ნარდის თამაში. ის დღეამეს სულ ნარდის თამაში ატარებს და არ ფიქრობს საბრძოლო მომზადებისათვის.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ასეთ უდისციპლინობას.

**ლომთაძეს** ესაჭიროება გაფრთხილება, რომ მან მეტი დრო მოახმაროს მუშაობას და ნაკლები ნარდის თამაშს. **ოქრო.**

### როგორ ჩავატარეთ
#### საინსპექტორო სროლები
##### (მე-2 საარტლეგიონი)

6 და 7 აგვისტოს მე-2 ქ. მ. დ. არტილერიის ნაწილებში ჩატარდა საინსპექტორო სროლები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არტ. ლეგიონის და ყველა ლეგიონების დივიზიებმა.

საინსპექტორო სროლებისათვის ... ემზადებოდენ და მის უზრუნველსაყოფად ჩატარდა სათანადო მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ ლეგიონი სროლების წინა დღეებში სუნთქავდა საინსპექტორო სროლების უზრუნველსაყოფად წარმოებულ სამზადისში.

ბრძოლა ა.-კ. ცაკის უმაღლესი ჯილდო დროშისათვის — ლეგიონში, იდგა დღის წესრიგში, მაგრამ სროლებმა გვიჩვენეს ზოგიერთი ამხანაგების მხრივ არა სათანადო შეფასება საბრძოლო მზადებისა

ბატარეის უფროსმა ამხ. **გვახარიამ** — პარტიის დავალება სროლის საუკეთესოდ ჩატარებაში ვერ შეასრულა. რას უნდა მიეწეროს ასეთი გულგრილი მოპყრობა საბრძოლო მზადებისათვის?

ბოლშევიკი ხომ პირველ რიგებში უნდა იყოს, ის ხომ უპარტიო ამხანაგებისათვის მაგალითი უნდა იყოს?

ამხ. **გვახარიამ** ასე თუ ისე ადვილი მიზანი მიიღო, მაგრამ ის არ შეეცადა და არ გამოიჩინა მთელი თავის ენერგია და ნებისყოფა.

**ამხ. გვახარიას** ახალო მომავალში კიდევ მოელის სროლა და მან უნდა დაუმტკიცოს პარტიას, რომ მას შეუძლია ნაკლის ბოლშევიკურად გამოსწორება.

სროლა აგრეთვე ვერ შეასრულა მე-5 ლეგიონის დივიზიონის განყ. მეთაურმა ამხ. **ფილიპაშვილმა**, მან სროლის წინ არ გასინჯა ქვემები, რის მიზეზათ არც ერთი მის მიერ გაშვებული ყუმბარა არამც თუ ტანკს, არამედ ახლო - მახლო ადგილმდებარეობასაც არ მიჰკარებია.

ცუდი მაგალითია, ამხ. ფილიპაშვილო! ვეცადოთ ამ უხეშ შეცდომაზე ბევრი ვისწავლოთ და მომავალში მეტის ყურადღებით ვიყოთ.

სროლა კარგათ შეასრულა ბატარეის ახალგაზრდა უფროსმა ამხ. **ბეგთაბეგოვმა**. ის მებრძოლთა პირველ რიგებშია, ის ბოლშევიკურ ნებისყოფით ასრულებს მასზე დაკისრებულს, გრძნობს პასუხისმგებლობას და ამის შედეგია ის, რომ მისი ბატარეია ნიმდვილი დამკვრელი ბატარეია არის, საბრძოლო მზადებისა და სხვა საკითხებში მაღალ მაჩვენებლებისათვის ბატარეია დაჯილდოვებულია გარდამავალი დროშით. ამხ. **ბეგთაბეგოვი** მედგრად იბრძვის საბრძოლო მომზადების მაღალ მაჩვენებლებისათვის.

მე-6 ლეგიონის დივიზიონის ბატარეის უფროსმა ამხ. **ჭაიამ** სრულიად გაანადგურა მანაკი. რისთვისაც მან დივ. სარდლობისაგან მიიღო მადლობა. და 30 მანეთი ფულად.

გაანადგურა აგრეთვე ტანკი მე-4 ლეგ. დივიზიის მწყ. უფროსმა ამხ. **სვანიძემ**, რომელიც სროლის წესებს არ ემყარებოდა. მას სროლაში დიდათ შეუწყო ხელი მომიზნის და თარიღების საუკეთესო მუშაობამ, როგორც მე-6 ლეგიონს ისე მე-4 ლეგიონს მსროლელ ქვემეხებთან მომუშავე თარიღები დივ. სარდლობის მიერ დაჯილდოვებული იყვნენ.

შეფასებაში მონაწილეობდენ არტლეგიონის მე-2 დივიზ. და მე-4 და მე-6 ლეგიონის დივიზიონები.

**მსროლელი.**

### აღმოვფხვრათ ნაკლი
## გადავლახოთ დაბრკოლებანი

### მე-2 არტ. ლეგიონის სან ნაწილი მომზადებულად შეხვდა ცვალებადების მოსვლას

წინასწარი მომზადება შემუშავებული იქნა უფ. ექიმის ამხ. **ლუგავოის ხელმძღვანელობით.**

გამზადებული იქნა ამბულატორია შესახვევის და იზოლიატორისათვის ცალ-ცალკე ოთახები თავისი მოწყობილობით. მიღებული აქვს დავალებები ყველა მედ-თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საუბრები ცვალებად წითელარმიელთა შორის, რაც დაიწყება წითელარმიელების ბანაკათ მოსვლისთანავე.

ბანაკად ყოფნის განმავლობაში უნდა შევასწავლოთ ცვალებადელებს ჯანმრთელობის დაცვა, როგორც ბანაკში, აგრეთვე თავის ოჯახებში, ქარხნებში, მეურნეობებში და სხვა.

მიღებული არის ზომები წითელარმიელების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ყოველივე სურსათ - სანოვაგის სუფთად და ჰიგიენურად მიწოდებაში. არ უნდა დავუშვათ წითელარმიელთათვის უვარგისი ხილეულის მიწოდება და სისტემატიურად უნდა იქნეს გასინჯული და შემოწმებული კოოპერატივები.

დივიზიონებში იქნება გაკეთებული ჯანმრთელობის პირველ აღმოჩენის დაფები, რათა წითელარმიელებს ყოველთვის ჰქონდეთ საშუალება შეისწავლონ პირველი დახმარების აღმოჩენის ტეხნიკა.

**მე-2 არტლეგიონის სანნაწილი.**

### სასტიკი ბრძოლა
#### მალარიის გამავრცელებელ კოღოების წინააღმდეგ

ბანაკობის უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამრავლდენ მალარიის გამავრცელებელი კოღოები, რისთვისაც მე-2 არტლეგიონის სანნაწილის თანამშრომლები თავს აცხადებენ დამკვრელად მალარიის გამავრცელებელ კოღოების მოსპობაში. და ვიწვევთ სოცშეჯიბრებაში დივიზიის ყველა სანნაწილებს შემდეგ პუნქტებში:

1) ლეგიონის მიდამოებში ჭაობების ამოშრობა;

2) თხრილების გაწმენდა, და მიზუთისკ მოხსმა;

3) გაცნობა წ.-არმიელებზედ საუბრებით, თუ როგორ მრავლდება მალარიის გამომწვევი კოღოები, მათი მოსპობა და აქიმობა.

### კიდევ ნაკლი

ჩვენი ლეგიონის სამნეო გუნდი დაეწაფა მუშაობას. იშვიათია ისეთი მეფურგუნე, დურგალი ან სხვა მოხელე, რომ ყოყმანით ასრულებდეს ბრძანებას. მიუხედავად ამისა, კიდევ გვაქვს ნაკლი, თუმცა წითელარმიელთა და უმც-მეთაურთა შემადგენლობა მოწოდებულია აღმოფხვრას ნაკლი, მაგრამ ის ჯერ კიდევ გვაქვს ამუნიციის და ფურგუნის მოვლა-პატრონობაში.

ხშირათ შეხვდებით ამუნიციას მავთულით დაკერილს, დახეულს აგშრეგზედაც ასეთი მდგომარეობაა.

ამას იწვევს ის, რომ ბანაკ ავჭალაში არ გვყავს შორნიკი და თბილისში კი ის ზის მცირე საქმეზე. ბევრჯერ ვთხოვეთ გუნდის უფროსს და მომარაგების უფროსს ამის შესახებ, მაგრამ მათ არ მიიღეს ზომები საქმის მოსაგვარებლად. **გუშაგი.**

### სანიტ-მშენებლობა მე-2 არტ. ლეგიონის
#### სან-ნაწილში

აღნიშნულ ლეგიონის სარდლობამ ლეგიონის უფ. ექიმის **ლუგავოის** ენერგიული შრომით და ხელმძღვანელობით დაასრულა ახალი შენობა სან-ნაწილისათვის, შინაგან მოწყობილობით: შკაფებით, სტოლებით, და სხვა საჭირო ნივთეულობით.

ამხ. **ლუგავოის** არ ჩამორჩა აგრეთვე სხვა თანამშრომლებიც და დაკვრითი წესით იქნა შეღებილი შენობა.

ეხლა ბანაკში მყოფი სან-ნაწილი უზრუნველყოფილია აფთიაქისათვის, ამბულატორიისათვის, ქსენონისათვის და იზოლიატორისათვის საჭირო შენობით.

საჭიროა არის მხოლოდ, რომ ლეგ. უფ. ექიმების ინიციატივით სხვა ლეგიონებშიც მოეწყოს ასეთი რამ. ხშირად გვესმის ზოგიერთ მედ. თანამშრომლებისაგან, ვითომც ლეგიონის სარდლობა არ აქცევდეს ყურადღებას სან. ნაწილს იმდენად, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

ძირფესვიანად უნდა აღმოვფხრათ ზოგიერთ თანამშრომლების ოპორტუნისტული წუწუნი და მიბაძონ მეორე არტლეგიონის უფ. ექიმს, ამხ. ლუგავოის.

ამხ. ლუგავოი, ენერგიულ შრომისათვის მადლობის ღირსია.

**კვაჭაძე.**

# ბრძოლა კარგი ცხენისათვის
## მთავარი ელემენტია საბრძოლო ამოცანებ შორის

## ცვალებადელო! მთელი ენერგიით და შეგნებით მოუარე იარაღს და ცხენს

### გახსოვდეს, რომ გამოწვეული ცხენი მოვლილი და ჯანსაღი უნდა დაუბრუნოთ პატრონს

### გავფანტოთ მტრის ჭორები

არტლეგიონისათვის მრავალი ცხენია გამოწვეული საბჭოთა მეურნეობიდან, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან და ... კერძო პირებიდან.

როგორც ყოველთვის წელს კიდევ უკეთ მოვლილ ცხენებს ჩვენ ჩავაბარებთ მეპატრონეებს. ეს ყველამ უნდა იცოდეს. მაგრამ ამას არ დაგიდევთ კლასიური მტერი — კულაკი ... ის იწყება ჭორებს, ვითომც მოუვლელი ცხენები, ... ექსპლოატაციის შემდეგ, უვარგისები დაუბრუნდებათ მეპატრონეებს.



ამით მტერს უნდა შეგვიშალოს ხელი, მაგრამ ამაოდ. ჩვენ შევსძლებთ მის პროვოკაციის გაფანტვას.

აქედან გამომდინარე იმის გათვალისწინებით, რომ ეს ჩვენს საბრძოლო მომზადებაზე სათანადოთ იმოქმედებს, ჩვენი ლოზუნგია: „გვყავდეს მებრძოლი ცხენები" და

„არ ვარგა ის მებრძოლი, რომელიც გულით არ უვლის თავის ცხენს". ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ცხენის კვება და მოვლა სამაგალითოთ სრულდებოდეს.

ამ საქმის ... უნდა გვშალოთ სოცშეჯიბ... შემოვიღოთ ჯილდო.

**ვეტ-მუშ...**



სტამბა „კოლექტივი" კამოს ქუჩა № 63 მთავლიტი № 983